პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 იანვარი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 18 (9429) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში



დელიში გამგზავრების წინ

მახსოვს, ერთმა შვედურმა გაზეთმა მეგობრული შარჟი გამოაქვეყნა ჩვენს მაგიდის ჩოგბურთელებზე — სტანისლავ გომოზკოვი, სარჭის სარხოიანი, ანატოლ ამელინი ვასნეცოვის ცნობილი სურათის „სამი გოლიათის“ პოზაში იდგნენ. დიახ, ნამდვილად ღირსეული ნაკრები გვყავდა. რად ღირდა თუნდაც ზოია რუდნევა — მსოფლიოს, ევროპის და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი. ჩვენმა სპორტსმენებმა პირველებმა გააცნეს ევროპელებს თამაშის შეტევითი, აქტიური სტილი. მართალია, არც ახლა ჩამოვრჩებით, ფლორა ბულატოვა და ელენა კოტტუნი ევროპის ჩემპიონები არიან ქალთა წყვილებში, მაგრამ ვაუები?... ჩვენმა გუნდმა „მოახერხა“ მსოფლიო ჩემპიონატზე მე-19 ადგილი „დაესაკუთრებინა“.

რამ გამოიწვია ჩვენში სპორტის ამ სახეობის ჩამორჩენა? მცირე ჩოგბურთი ყველასათვის ხომ ადვილი მისაწვდომია? საკმარისია ჩოგანი, ბურთი და მაგიდა. თამაშიც ყველგან შეიძლება — ოთახშიც, ეზოშიც.

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატი

9 ნომრით... 79 წლიდან



თუ გსურთ გელა დარსაძის ნახვა, მოედნის გარდა იცით სად ნახავთ? „დინამოს“ ბაზაზე, მაგრამ იცოდეთ, ვარჯიშიდან ვარჯიშამდე ძალიან ცოტა დროა.

ჩვენც „დინამოს“ ბაზაზე შევხვდით მას. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დარბაზში უნდა დაბრუნებულიყო...

— ვარჯიში?... ძალიან სასიამოვნოა, ზოგჯერ არც კი მინდა დამთავრდეს.

პირველად როდის ვითამაშე? 1979 წელს, მოსკოვში, ცსკა-სთან, მას შემდეგ სულ ვთამაშობ.

დიახ, გელა დარსაძე 79 წლიდან დღემდე მოედანზეა, მესამე კლასიდან ბურთთან მეგობრობს და ალბათ, არც არასოდეს უღალატებს.

ის წლები, როცა ჭაბუკს მისწრაფებები, აზრები უჩნდება, გელამ ქუთაისში გაატარა, სკოლაც იქ დაამთავრა და ეხლა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტია.

როგორი უნდა იყოს ახალგაზრდა კალათბურთელი? — ვკითხეთ გელას.

—უნდა უყვარდეს კალათბურთი, მიპასუხა დაუფიქრებლად. — არ უნდა ბეზრდებოდეს მოედანზე ყოფნა. და რაც მთავარია, პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ჰქონდეს.

3 თებერვალს სპორტის სასახლეში კვლავ განახლდება საკავშირო ჩემპიონატის თამაშები. გელას იმედი აქვს, რომ „დინამო“ სამეულში მოხვდება.

— თავისუფალი დრო?... ჩვენ სულ ვთამაშობთ, სულ ვმოძრაობთ, გაგიკვირდებათ, მაგრამ მონატრება იცის მოედანმა — ეღიმება — რამდენჯერ მომნატრებია, დარბაზში შევსულვარ და მარტოც მითამაშია...

ჩაგდებულ ბურთებს თუ ითვლი თამაშის დროს?

— სათვალავი მერევა, ერთხელ 29 ქულა დავთვალე...

არ გვინდა საუბრით დავღალოთ, მაგრამ მაინც ვეკითხებით.

თურმე ფეხბურთის გულშემატკივარი ყოფილა... ისე უყვარს სპორტი, კალათბურთი, რომ 24 წლის ბიჭს ოჯახის შექმნაზე ჯერ არ უფიქრია....

გელას აზრით, სპორტსმენისთვის ბუნებრივი ფიზიკური მონაცემები არ კმარა. დიდი შრომისმოყვარეობა და სპორტული ჟინია საჭირო. რაღა თქმა უნდა, რეჟიმის მკაცრად დაცვაც. სხვანაირად წარმატებას ვერ მიაღწევ.

ქართველ გულშემატკივართა სახელით, ვულოცავთ გელას XXXIII ყრილობის დელეგატად არჩევას, ვუსურვებთ ლამაზი ბურთების ჩაგდებას, გამარჯვებას, სიხარულს, ბედნიერ ცხოვრებას.

ნანა და ნონა ლომაძეები,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები.

29 იანვარს, 19 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყობა 1986 წლის სეზონის შედეგების შემაჯამებელი სპორტული ზეიმი.

რესპუბლიკის რეგიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეებმა, რომლებიც ზეიმზე დასახელებულ ჩამოდიან, ამ დღეს თან უნდა იქონიონ საქართველოს ჭაბუკთა II თამაშების წინასწარი განაცხადები, რესპუბლიკის სპორტსახკომში წარსადგენად.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

სამი პრიზიორი საქართველოდან

ომსკი. ამ დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა 56-ე საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი ათლეტი გამოდიოდა. ტურნირმა ახალგაზრდა სპორტსმენთა მზარდი ოსტატობა გამოავლინა. ბევრი მათგანი პირველად გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, ბევრმა კი საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

ოქროს მედლები 7 ქალაქის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. ამ მხრივ სხვებზე უკეთ ტურნირის მასპინძლები — ომსკელი ათლეტები გამოვიდნენ. ისინი სამ უმაღლეს ჯილდოს დაეპატრონენ. ორი ოქროს მედალი როსტოველმა მოჭიდავეებმა მიიღეს, თითო — ნიკოლაევის, ალმა-ათას, მოსკოვის, ვიტებსკისა და ყარაგანდის წარმომადგენლებმა.

56-ე საკავშირო ჩემპიონატში პირველი ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით დაისაკუთრეს: ს. სუვოროვმა (ომსკი), ა. რომანიუკმა (ნიკოლაევი), ს. ზაბეიგოროტამ, კ. მუსაევმა (ორივე — როსტოვი), ნ. კოვალენკომ (ომსკი), მსოფლიო თასის მფლობელმა დ. ტურლიხანოვმა (ალმა-ათა), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა მ. მამიაშვილმა (მოსკოვი), მსოფლიო თასის მფლობელმა ვ. პოპოვმა (ომსკი), მსოფლიოს ექსჩემპიონმა ი. კანიგინმა (ვიტებსკი), მსოფლიო ჩემპიონმა ი. როსტოროცკიმ (ყარაგანდა).

როგორც ხაქართველოს სპორტსასკომის ჰიდაობის სამმართველოდან გვაცნობეს, გურამ გედეხაურმა (100 კგ) და თენგიზ თედორაძემ (90 კგ) ამ ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ზაურ ივანაშვილმა (90 კგ) კი — ბრინჯაოსი.

ჯ. ნერუს მემორიალზე

ინდოეთში მიმდინარე ჯ. ნერუს ხსოვნის საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები შეხვდა სირიის ეროვნულ გუნდს.

საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 (1:0), ბურთები გაიტანეს ვორობიოვმა, დობროვოლსკიმ და ნ. სავიჩევმა. ჩვენს გუნდს 3 ქულა აქვს 4 შესაძლებლიდან.

ახლოვდება ახალი საფეხბურთო სეზონი. დღეიდან „ლელო“ იწყებს იმ პრობლემებზე საუბარს, რაც ხელს გვიშლის საქართველოს პირველობის უკეთ ჩატარებაში.

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების პირად-გუნდური პირველობა ჭალოსნობაში ახალგაზრდებს შორის

რეკორდისკენ—ეულად...

მოსკოვში, იზმაილოვოს სპორტის სასახლეში საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით მიმდინარე ძალოსანთა შეჯიბრებაზე, ჩვენი ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა კობა ტალახაძემ გვითხრა, ამის შემდეგ, პირველივე შეჯიბრებაზე, საქართველოს რეკორდს დავამყარებო. მოსკოვში ნაჩვენები შედეგის მიხედვით ეს დაპირება რეალური არ ჩანდა, მაგრამ ახალგაზრდა ძალოსანმა, როგორც ჩანს, იცოდა რასაც ამბობდა. და აი, 18 იანვარს, ცხინვალში საქართველოს ნებაყოფლობითი პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების პირადგუნდური პირველობაზე, სადაც 1967 და შემდეგ წლებში დაბადებულები შეიკრიბნენ საასპარეზოდ, 19 წლის საჩხერელმა მძიმე წონის ძალოსანმა კობა ტალახაძემ (მწვრთნელი გოგი თოდაძე) დანაპირები შეასრულა. პირადი მიღწევა ორკილიანი ჯამში 32,5 კგ-ით გაუმჯობესა (რაც, ალბათ, იშვიათად ხდება ძალოსნობაში) და 1984 წელს ახალციხელი არშაკ ქობალიანის მიერ დამყარებული რეკორდი ატაცში (172,5 კგ) ნახევარი კგ-ით „დაამძიმა“. კობამ ასევე ნახევარი კგ-ით მეოთხე ცდაზე გააუმჯობესა რობერტ ძიმისტარიშვილის მიერ ოთხი წლის წინ ნაჩვენები შედეგი — 212,5 კგ. სპორტში, მეტოქეობის გარეშე ძნელია შედეგის ამაღლება, ასე რომ, კობამ, რომელიც მარტოდ გამოდიოდა (მისმა ერთადერთმა მეტოქემ ბურევესტნიკელმა ძალოსანმა ზურაბ ლუარსაბიშვილმა ნული ქულით დაამთავრა შეჯიბრება), თითქმის შეუძლებელი შეძლო.

ცხინვალის ფიცარნაგი იღბლიანი გამოდგა გარდაბანელი სპორტის ოსტატ ელგუჯა მინაძისათვისაც (მწვრთნელები ზურაბ პაპიძე და შოთა წერეთელი). თბილისის უნივერსიტეტის პირველკურსელმა ატაცში

იხ. მე-2 გვ.

ოსტატი და შეგირდი — კობა ტალახაძე და გოგი თოდაძ



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ორი წრის შემდეგ

კაუნასი. უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ბოლო, გამოტოვებული მატჩი, ადგილობრივ „უალგირისსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის ერთობ დაძაბული და დრამატული ბრძოლით აღინიშნა. მასპინძლებმა გამარჯვება მესამე დამატებით პერიოდში მოიპოვეს. 125:123 (115:115, 104:104, 97:97, 46:60). აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში არ მონაწილეობდა კაუნასელთა ლიდერი არვიდას საბონისი. მას განვლილ შეხვედრებში სამი ტექნიკური შენიშვნა ჰქონდა მიღებული და ამის გამო მატჩი უნდა გამოეტოვებია.

დასრულდა საკავშირო ჩემპიონატის ორი წრე. სატურნირო ცხრილში გუნდები საბოლოოდ ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	22	17	5	2075-1801	39
„უალგირისი“ (კაუნასი)	22	16	6	1979-1848	38
„დინამო“ (თბილისი)	22	13	9	1749-1816	35
„შახტიორი“ (დონეცკი)	22	13	9	1784-1783	35
ვეფ (რიგა)	22	13	9	2011-1975	35
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	22	12	10	1803-1768	34
ახკ (კიევი)	22	12	10	1835-1890	34
„დინამო“ (მოსკოვი)	22	8	14	1948-2018	30
„ხტროიტელი“ (კიევი)	22	8	14	1841-1843	30
„ხტატიბა“ (ვილნიუსი)	22	8	14	1802-1896	30
რტი (მნ.)	22	6	16	1762-1801	28
ახკ (ა-ათა)	22	6	16	1774-1924	28

როგორც ცნობილია, პირველ ექვს ადგილზე გასული კოლექტივები 54-ე საკავშირო ჩემპიონატის მედლებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას, მეორე ექვსეულის წარმომადგენლები კი VII-XII ადგილებს გაითამაშებენ.

რეკორდისკენ—ეულად...

(დასასრული)

თავისივე რეკორდს (128 კგ) ორი კილოგრამი მიუმატა, ხოლო აკრაში ქუთაისელი ძალოსნის ნუგზარ პაპიძის მიერ იუნიორთა შეჯიბრებაზე 11 წლის წინ დამკარგებული საქართველოს რეკორდი (160 კგ) ნახევარი კგ-ით გაუმჯობესა — ურჭიდის ჯამში 290 კგ მოაგროვა.

შეჯიბრების კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს სპორტსახკომის უფროს მწვრთნელს **რამაზ გურგენიძეს**:

— საასპარეზოდ სულ 50 ძალოსანი შეიკრიბა, აქედან ორმა სპორტის ოსტატის ნორმატივი გაიმეორა, სამმა — სპორტის ოსტატობის კანდიდატის, შვიდმა—პირველი თანრიგის, ხოლო თვრამეტმა მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულა. ასპარეზობა გაცილებით საინტერესოდ ჩატარდებოდა და შედეგებიც უფრო მაღალი იქნებოდა, საქართველოს ნაკრების იმ 6 წევრსაც რომ ეასპარეზა, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში არიან. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაზე სრული გუნდები მხოლოდ „კოლმეურნემ", „განთიადმა" და „ზენიტმა" გამოიყვანა. „ლოკომოტივი" სამი ძალოსნით წარსდგა, „სპარტაკის" და „ბურევესტნიკის" ღირსებას თითო სპორტსმენი იცავდა. სამწუხაროდ, ამ სპორტულ საზოგადოებებში თითქმის ჩაშლილია ძალოსნებთან მუშაობა. ტრადიციულად გვიჭირს მძიმე წონაში. კობა ტალახაძეს ფაქტიურად მეტოქე არა ჰყოლია. ორი ძალოსანი გამოვიდა 100 კგ წონით კატეგორიაშიც. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებაზე ბევრი იმედის მომცემი ნიჭიერი ძალოსანიც ვიხილეთ. ყურადღება მიიქციეს 16 წლის საჩხერელმა ათლეტმა გრიგოლ ჩუბინიძემ და 13 წლის კობა დიდბერიძემ, ცხინვალელმა სოსო კოჩიევმა და 15 წლის ქუთაისელმა მურაბ ხუბუკელაშვილმა. ნაყოფიერად მუშაობს საჩხერელი მწვრთნელი გოგი თოდაძე. ამ შეჯიბრებაზე მისმა აღზრდილმა კიდევ ორმა ძალოსანმა დაიკავა პირველი ადგილი. ახლახან 30 წლის ნიჭიერი მწვრთნელი რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრების უფროს მწვრთნელად დანიშნეს. საჩხერელი ძალოსნების შედეგები უფრო თამამებჭდავი იქნებოდა, თოდაძის შეგირდებს ვარჯიშის უკეთესი პირობები რომ ჰქონდეთ. პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ საქმეს მწვრთნელები ბიჭიკო ჩიოტაშვილი, ვანო გრიქუროვი (ორივე — ცხინვალი), ბადრი პაპიძე (ქუთაისი). რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ძირითადად სწორედ მათი აღზრდილები იმარჯვებენ.



ელგუჯა მინაძე ასპარეზობის დროს.

შარშან ძალოსნობის სპეციალისტები ჩვენი რედაქციის „მრგვალი მაგიდის" გარშემო შეიკრიბნენ და ბევრ საჭირბოროტო საკითხზე იმსჯელეს. რა გაკეთდა მას შემდეგ? — ახლა ამ საკითხზე ვთხოვეთ საუბრის გაგრძელება რამაზ გურგენიძეს.

— ჩვენი ჩამორჩენის თავიდათავი მიზეზი არამასობრიობა გახლდათ. ნაკლის გამოსასწორებლად პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ახალი წლის დამდეგს სოხუმში, ჩვენს რესპუბლიკაში პირველად, გაიხსნა აფხაზეთის განათლების სამინისტროს ძალოსნობის სპეციალიზებული სკოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ძალოსანი რუსლან ტარკილი. აქ 100 მოზარდი ივარჯიშებს. ვფიქრობ, ამ სკოლის გახსნით დიდი საქმე გაკეთდა. ერთი თვის წინ მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ვარციხის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლში ამუშავდა ძალოსნობის სექცია. 50 ახალგაზდას ქუთაისელი სპორტის ოსტატი ალექსანდრე ბერემაშვილი ავარჯიშებს. ახლახან, ბოლნისში და ორჯონიკიძეშიც დაიძრა ყინული. აქ სპორტის ოსტატები მურთაზ ბენძელაძე და ნუგზარ ხაჩიძე მუშაობენ. ინიციატივა გამოიჩინა გლდანის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ლევან ბოლქვაძემ — პირველი მარტიდან ძალოსნობაში სავარჯიშოდ ამ სკოლაში თავს მოუყრიან სათანადო მონაცემების მქონე ბავშვებს. ყველაფერმა ამან რამდენიმე წელიწადში სასურველი შედეგი უნდა მოგვცეს. თუმცა, მარტო ეს არ იკმარებს. საჭიროა ჩამოთვლილ რაიონებს სხვებმაც მიბაძონ.

ჯემალ კასრაძე.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲑᲘᲜᲒᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ: 48 კგ. კობა დიდბერიძე („კოლმეურნე", საჩხერე) — 65-77,5-142,5, გავრილ დემურჩევი („განთიადი", წალკა) 60-72,5-132,5; რაფაელ სარქისიანი („კოლმეურნე", თბილისი) — 50-67, 5-117,5, 52 კგ. გარიკ ტიროიანი („განთიადი", ქ. რუსთავი) —77,5-92,5-170, ალექსანდრე ძაგოევი (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი) — 67,5-87,5-155, თემურ ქომეთიანი („განთიადი", ქუთაისი) — 67,5-87,5-155; 56 კგ. არიფ მახმუდოვი („განთიადი", რუსთავი) — 87,5-117,5-205, რობერტ მურადოვი („განთიადი", წალკა) — 82,5-95-177,5, მამუკა ბესტავაშვილი („ლოკომოტივი", თბილისი) 80-95-175; 60 კგ. ზურაბ კასრაძე („კოლმეურნე", ცხინვალი) 92,5-117,5-210, ვაგიფ აბდულაევი („განთიადი", რუსთავი) 90-102,5-192,5, თამაზ ქურიძე (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი) — 90-102,5-192,5; 67,5 კგ. ელგუჯა მინაძე („კოლმეურნე", თბილისი) — 130-160-290, ირბერგ კაჩმაზოვი („კოლმეურნე", ცხინვალი) — 110-125-235, ელბრუს გაბარაევი („განთიადი", ცხინვალი) — 92,5-120-212,5; 75 კგ. სოსლან კოჩიევი („კოლმეურნე", ცხინვალი) — 120-152,5-275,5, არაიკ კაზარიანი (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი) — 115-145-260, მერაბ ხუბუკელაშვილი (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება. ქუთაისი) — 112,5-137,5-250; 82,5 კგ. კახა კახიაშვილი („განთიადი", ცხინვალი) — 132,5-150-282,5, სარქის ხაჩატურიანი („კოლმეურნე", ახალციხე) — 120-135-255, სერგო აბრამიშვილი („კოლმეურნე", საჩხერე) — 105-137,5-242,5; 90 კგ. ბადრი ჭიტაძე („კოლმეურნე", საჩხერე) — 130-170-300; აბესალომ ბასილია („კოლმეურნე", ბათუმი) — 110-140-250, ვიაჩისლავ ძაგოევი (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი) — 107,5-120-227,5; 100 კგ. გრიგოლ ჩუბინიძე („კოლმეურნე", საჩხერე) — 140-165-305. + 100 კგ. კობა ტალახაძე („კოლმეურნე", საჩხერე) — 173-190-362,5.

გუნდური ადგილები — 1. „კოლმეურნე" — 2562 ქულა; 2. „განთიადი" — 2039 ქულა, 3. „ზენიტი" — 1254 ქულა, 4. „ლოკომოტივი" — 236 ქულა, 5. „სპარტაკი" — 230 ქულა, 6. „ბურევესტნიკი" — 0 ქულა.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

მშრომელთა საკავშირო

გვესაუბრება „ორგტექნიკის" პროფკავშირების თავმჯდომარე რ. ხომერიკი:

სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკაში" (დირექტორი ა. მიქაძე) ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელშეწყობით ბევრი რამ კეთდება ფიზკულტურასა და სპორტში მშრომელთა მოსაზიდად.

საწარმოში მომუშავე ორიათასზე მეტი ადამიანიდან 45,3% ჩაბმულია სპორტულ და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში. აქ კულტივირებულია კალათბურთის, ხელბურთის, ცურვის, ტყვიის სროლის, მძლეოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, ფეხბურთის, ჭადრაკისა და შაშის სექციები. 248 II და III თანრიგოსანია; მუშაობს ჯანმრთელობის ჯგუფები, რიტმული ტანვარჯიშის, გამაჯანსაღებელი რბენის და სიარულის მოყვარულთა კლუბი.

საწარმოს მუშაკთა შორის პოპულარობით სარგებლობს ტურიზმი, რომლის სექციებში 180 მშრომელია გაერთიანებული. მთელი წლის განმავლობაში ეწყობა ტურისტული ლაშქრობები დევეზით „გავეცნოთ შობლიურ მხარეს".

საწარმოში ხშირად ტარდება სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები და შეჯიბრებები. მშრომელები ხალისით მონაწილეობენ იმ ასპარეზობებში, რომლებიც სოხუმის სპორტული კომიტეტის, აფხაზეთის სოლქო საბჭოს, „განთიადის" და საკავშირო სპორტული საზოგადოება „ტრუდის" ინიციატივით იმართება. საწარმოს 3 საამქროში სადილობის შემდეგ ეწყობა ფიზკულტურული პაუზა.

პროფკავშირის კომიტეტი ყოველწლიურად დებს ხელშეკრულებას დოსააფის აუზის, რესპუბლიკური სტადიონის და სპორტული ბაზის ხელმძღვანელობასთან.

გასულ წელს პროფკავშირმა ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარებასთან ერთად სპორტული ფორმები და სპორტინვენტარი შეიძინა.

ქალაქგარეთ შენდება მშრომელთა დასასვენებელი ბაზა, რომელსაც ექნება ხელბურთის, კალათბურთის და ფეხბურთის მოედნები, საცურაო აუზი. საწარმოს ტერიტორიაზე ვაპირებთ დახურული კომპლექსური მოედნის აშენებას.

ესაუბრა მაია მესხია,
„ლელოს" ხაკ. კორესპონდენტი.

საინტერესოდ ჩატარდა

თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებაში მნიშვნელოვნად გვეხმარება სხვადასხვა მასობრივი სპორტული ღონისძიებები. ერთი ასეთი შეჯიბრება ამას წინათ ქუთაისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის და ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველოს ინიციატივით ჩატარდა. ჯანმრთელობის VIII საქალაქო სპარტაკიადის მონაწილეებმა ჯერ კოლექტივებში შემდეგ კი სარაიონო შეჯიბრებებში იასპარეზეს. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: ლენინის (მე-2, მე-8 და მე-9) და ავტოქარხნის რაიონების (მე-3, მე-5, მე-7, და მე—11) საბინაო-საექსპლუატაციო უბნების გუნდებმა.

ორთაბრძოლები საინტერესოდ ჩატარდა. ვაჟ კალათბურთელთა შეჯიბრებაში და ბაგირის გადაძალვაში მე-2 უბნის წარმომადგენლებმა იმარჯვეს. ფრენბურთსა და ფეხბურთში მე-9 უბნის გუნდებმა, სიმძიმეების აწევაში კი ყველაზე ძლიერი მე-7 უბნის კოლექტივი აღმოჩნდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე ლენინის რაიონის მე-8 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის გუნდი გავიდა (უფროსი დ. არჩვაძე, პედაგოგ-ორგანიზატორი დ. უშვერიძე).

II-III ადგილები შესაბამისად მე-9 და მე-2 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის კოლექტივებმა დაიკავეს.

ქუთაისის ლითოფონის ქარხნის სპორტთამაშების დარბაზში ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „განთიადის" საქალაქო საბჭომ ჩატარა ტრადიციული პირველობა დევიზით — მთელი ბრიგადით სტადიონზე! შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს 13 ფუზკულტურული კოლექტივის შრომითმა ბრიგადებმა (9 ვაჟთა, 4 ქალთა). სპორტის მოყვარულები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: ბაგირის გადაძალვაში, ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში, კომბინირებულ ესტაფეტასა (30X6) და ბურთის მიზანში ტყორცნაში.

ქალთა შორის კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მე-2 საქსოვი საამქროს მე-3 ბრიგადის წევრებმა. მათ ყველა მეტოქეს აჯობეს და დამაჯერებელი ანგარიშით დაიკავეს პირველი ადგილი. მომდევნო ადგილებზე ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანების და სამკერვალო გაერთიანება „ელვათის" მე-2 საამქროს 35-ე ბრიგადის ქალიშვილები გავიდნენ.

ვაჟთა შეჯიბრება უფრო დაძაბულად წარიმართა. აქ ყველას მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის არასტანდარტების საამქროს ბრიგადის წევრებმა აჯობეს. მეორე ადგილი წილად ხვდა ს. კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანების მე-10 ბრიგადას, მესამე ადგილი ქუთბარიტის მაღაროთა სამმართველოს მუშათა ბრიგადამ დაიჩაკუთრა.

თამაზ კოლხიდელი
(„ლელოს" ხაკ. კორ.).
ქუთაისი.

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

მსაჯებს სპორტული ფორმა გვჭირდება

ბოლო ორი-სამი წელიწადია ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიას ბევრი ახალგაზრდა არბიტრი შეემატა, ახალმა კადრებმა, ახალმა საქმემ კი ახალი პრობლემები წამოჭრა: ფეხბურთის თამაშის წესების საფუძვლიანი შესწავლა, ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება, სპორტული რეჟიმის დაცვა, ფეხბურთისადმი პრინციპული მიდგომა და სხვა მრავალი.

ამ სხვა მრავალთა შორის მეორეხარისხოვანი როდია ფეხბურთის მსაჯის სპორტული ფორმა, ჩაცმულობა, არბიტრი მინდორზე ყოველმხრივ სამაგალითო უნდა იყოს თავისი საქციელით, თავდაჭერილობით, გარეგნული შესახედაობით, სისუფთავით. თუ მსაჯს მცირეოდენი რამ მაინც არა აქვს წესრიგში, თუნდაც, წვერმოუპარხავია, დაქანცული გამოიყურება, გაუთოვებული არა აქვს პერანგი და ა. შ., იგი იმთავითვე კარგავს ავტორიტეტს როგორც ფეხბურთელების, ისე მაყურებელთა თვალში.

ახალგაზრდა მსაჯებს, ერთი დიდი საზრუნავი გაგვიჩნდა: ეს არის სპორტული ფორმა. მსაჯის ალჭურვილობაში ვგულისხმობ ბუცებს, თეთრზოლიან შავ გეტრებს, შავ ტრუსებს, პერანგს თეთრი საყელოთი და სახელოებით, ემბლემას, სასტვენს, აგრეთვე, წითელ და ყვითელ ბარათებს.

დიდი სტაჟის მქონე მსაჯებს ეს პრობლემა ავად თუ კარგად უკვე აქვთ გადაჭრილი, მაგრამ მათი, ე. ი. დამწყებთა პოზიციაც გასაგებია, ვისაც ხურს სანიმუშოდ ჩაცმული წარდგეს საფეხბურთო აუდიტორიის წინაშე. ბუცები ამ ბოლო ხანებში პრობლემა აღარ არის, მაგრამ მსაჯისთვის საჭირო შავი მაისურები (პერანგები), გეტრები და ტრუსები (შორტები) ძნელი საშოვნია. სასურველია არბიტრის გეტრებს თეთრი ზოლი ჰქონდეს დატანებული, ამ შემთხვევაში კი სხვა ფერის გეტრის შეღებვა სასურველ შედეგს არ გვაძლევს.

1985 წელს სპორტულ მაღაზია „დინამოში" გამოჩნდა ფეხბურთის მსაჯის შავი პერანგი, პროდუქციის ხარისხსაც არა უშავდა, მაგრამ, ეტყობა, რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა, წლეულს კი სპორტულ მაღაზიებში ეს პერანგები უკვე აღარაა. მსაჯები იძულებული ვართ შევიძინოთ სულ სხვა დანიშნულების შავი პერანგები და ჩვენი საჭიროებისთვის გადავაკეთოთ.

ფეხბურთის მსაჯს მკერდზე აუცილებლად უნდა ეკეთოს ემბლემა, რომელზეც აღნიშნულია მისი კატეგორია, ასეთი ემბლემები კი არსად არ იყიდება.

სასტვენი. თითქოს, ეს ოღლი საკითხია, მაღაზიაში საკმარისად იყიდება სხვადასხვაგვარი სასტვენი, მაგრამ ფეხბურთის კვალიფიციური მსაჯის სასტვენი ბევრ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: ზომით არ იყოს ძალიან დიდი, ბურთუა არ იჭედებოდეს სტვენის დროს, ერთ ჩაბერვაზე სიგნალს დიდ ხანს გამოსცემდეს საჭირო ზომის ხვრელის საშუალებით და ა. შ.

ამგვარ სასტვენებს თბილისის სპორტულ მაღაზიებში ვერ შეხვდებით, ამიტომ მსაჯები იძულებული არიან კუსტარულად დამზადებული სასტვენები შეიძინონ, არის იმპორტული სასტვენებიც, მაგრამ ისინი ძნელი საშოვნია.

შარშან გაზაფხულზე უნივერმაღ „თბილისის" სპორტულ სექციაში სამამულო წარმოების სამსაჯო კომპლექტი იყიდებოდა: სასტვენი, წითელი და ყვითელი ბარათები, წოლისყრისთვის გამიზნული პლასტმასის ფირფიტა. პირველ რიგში შევამოწმე სასტვენის ხარისხი, იგი არ შეეხაბამებოდა საჭირო მოთხოვნებს.

სულ ახლახან, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე, ყველამ კარგად ნახა რა მშვენიერი ფორმა ეცვათ მსაჯებს, მეც ვუყურებდი და გული მწყდებოდა: რატომ უნდა ვიყოთ მოკლებული ამგვარი ფორმის შეძენის საშუალებას?

ვფიქრობ, მარტო ფეხბურთის მსაჯები არ არიან ასეთ დღეში, სპორტის სხვა სახეობათა მსაჯებსაც ექნებათ მართებული პრეტენზიები. ცხადია, მსაჯების სპორტული ფორმით უზრუნველყოფა დიდმნიშვნელოვანი ამბავია და ამ საქმესაც მიხედავ ესაჭიროება.

ნიკოლოზ ლელუაშვილი.
პირველი კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში.

სტარტზე—ორჭიდელები

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ უძლიერესმა ორჭიდელებმა მოიყარეს თავი ბაკურიანში, სადაც ამას წინათ გაიმართა საკავშირო შეჯიბრება ახალგაზრდებს (1967-1970 წლებში დაბადებულნი) შორის.

საუკეთესოდ იასპარეზეს სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა — გორკელმა ვლადიმერ ოკლადნოვმა („დინამო") და მოსკოველმა ვიქტორ პეტროვმა („შრომითი რეზერვები"). ისინი გამარჯვებულნი გამოვიდნენ 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში: პირველმა 216,7 ქულა მოაგროვა (ნახტომები — ორივეჯერ 83,5 მეტრი), მეორემ — 215,9 (82,5 და 85 მეტრზე).

ლიდერებმა 10-კილომეტრიან რბოლაშიც ისახელეს თავი: ვ. ოკლადნოვმა მეორე შედეგი აჩვენა (27 წუთი და 53 წამი), პეტროვმა — მეოთხე (29.29). საბოლოოდ ისინი შესაბამისად პირველ და მეორე ადგილებზე გავიდნენ.

„ᲚᲔᲚᲝᲡ" ᲙᲝᲠ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელიში გამგზავრების წინ

დასასრული

მაგრამ ვიყენებთ კი ამ შესაძლებლობებს? სტატისტიკით ჩვენს ქვეყანაში ამ სახეობით 3 მილიონი ადამიანია გატაცებული, მაგრამ უფსკრული მასობრიობასა და ოსტატობას შორის დღითიდღე იზრდება.

საქართველოში მაგიდის ჩოგბურთი ყოველთვის პოპულარობით სარგებლობდა, საკმარისია გავიხსენოთ სარქის სარხოიანი — ქვეყნის ოცდასამგზის ჩემპიონი, მსოფლიო და ევროპის პირველობების არაერთგზის პრიზიორი, არაერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში წარმატებით გამოსული თეიმურაზ რამაზაშვილი, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პირველობის ფინალისტი, სიმელა პარფინიდი, ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრების წევრი. სარხოიანამდე საკავშირო შეჯიბრებებში ცუდად არ გამოდიოდნენ ირინა იზაშვილი, რობერტ კუდაშვილი, მაგრამ ეს ხომ წარსულია?..

საბჭოთა კავშირის წლევანდელ ჩემპიონატში, რომელიც ამჟამად თბილისში მიმდინარეობს „ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსში, საქართველოს ღირსებას ზხოლოდ ორი სპორტსმენი იცავს. ერთ-ერთი ლომგანის, პ. ფირცხალავას თამაშს უურადღებით ვადევნებდი თვალს. კარგი ბიჭია, თითქოს სწრაფიცაა, აქტიურიც, შეუპოვარიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოგება უჭირს, რადგან მისი ყოველი მეორე დარტყმა არაზუსტია.

შეჯიბრების მონაწილენი ჯგუფებად დაიყვნენ 24 უძლიერესის გამოსავლენად. ამ „უმაღლეს ლიგაში“ ვერ მოხვდნენ საქართველოს წარმომადგენლები.

ჩვენი საუკეთესო ჩოგბურთელები ფ. ბულატოვა, ე. კოფტუნი, ა. მოზუნოვი, ი. პოდნოსოვი, ბ. როზენბერგი მონდომებით იბრძვიან, მაგრამ იკმარებს კი მხოლოდ მონდომება მსოფლიო ჩემპიონატში გასამარჯვებლად, რომელიც თებერვალში დელიში გაიმართება?!

ვიყოთ ოპტიმისტები. ჩავთვალოთ თბილისი ათვლის წერტილად, სასტარტო მოედნად. თუ როგორი იქნება სტარტი, მას ჩვენ რამდენიმე დღეში შევიტყობთ, აი ფინიში კი... თებერვალიც მალე მოვა.

ალექსანდრე პატრიკეევი.

ევგენი ბრაინინი



ტატიანა შევჩენკო

ვლადიმერ მარინკევიჩი

ექსპრეს-ინტერვიუ

სსრ კავშირის ჩემპიონატის თბილისში ჩატარება, ვფიქრობ სტიმულს მისცემს ჩვენს რესპუბლიკაში მაგიდის ჩოგბურთის პოპულარობას, — ამბობს საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მაგიდის ჩოგბურთელი სარქის სარხოიანი.

● არც თქვენამდე და არც თქვენს შემდეგ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი წარმატება არ მოუპოვებიათ. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?

— მე ბათუმში ვცხოვრობ. იქ დავიწყე თამაში. სულ პატარები ვიყავით მე და ჩემი თანატოლები, პირველად რომ ავიღეთ ჩოგანი ხელში. ბათუმში მაშინ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იდგა პინგ-პანგის მაგიდები. მე მაგალითად, ხშირად დავდიოდი ბულვარსა და პიონერთა პარკში, მაშინ იქ ნებისმიერ დროს შეიძლებოდა თამაში. ახლა ასეთ მაგიდებს ვეღარსად ნახავთ.

● კი მაგრამ, ბათუმში ხომ ამ ორი წლის წინათ „სპარტაკმა“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა გახსნა, სადაც, რამდენადაც ვიცით, მაგიდის ჩოგბურთის ცხრა ჯგუფი მუშაობს.

— სკოლის გახსნა კარგი საქმეა, მაგრამ ვერაფერი შეცვლის იმას, რასაც ბავშვების თავისუფალი თამაში ჰქვია. უწინ ასე იზრდებოდნენ, მე ვიტყოდი, სპორტში თავის თავს პოულობდნენ ფეხბურთელებიც და კალათბურთელებიც. თუ გვინდა მაგიდის ჩოგბურთი ავაღორძინოთ, მასობრივი გავხადოთ, უნდა შევქმნათ პირობები, რომ ეს თამაში ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის, განსაკუთრებით ბავშვებისთვის, ეს ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენის ნაკადი გზაა და ამ გზაზე ხელოვნური დაბრკოლებები არ უნდა შევქმნათ. მე მზად ვარ ნიჭიერი მოზარდები ქვეყნის ნაკრებ გუნდში მოვიწვიო და იქ ვავარჯიშო.

● საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ახლა საქართველოს ორი წარმომადგენელი გამოდის. ეს სახიხარულო ფაქტია, რადგან ქვეყნის მოზრდილთა ჩემპიონატში დიდი ხანია ჩვენი რესპუბლიკიდან არავინ გამოსულა. როგორ აფასებთ ჩვენი ბიჭების პერსპექტივებს?

— ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობა უკვე თავისთავად ბევრს ნიშნავს. მაგრამ ორივე სპორტსმენმა მეტი უნდა იმუშაოს. პაატა ფირცხალავა ჯერ 16 წლისაა, ოსტატია, ვარჯიშებზე ძალიან ლაღად, საკუთარი ძალების რწმენით თამაშობს, მაგრამ შეჯიბრებებში სრულად ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს, ფსიქოლოგიური მომზადება აკლია, ბოლო ხანებში პირადად მე ვმუშაობდი პაატასთან, თამამად მიწევდა მეტოქეობას. რაც გითხარით სწორედ ერთობლივი მუშაობიდან გამოტანილი დასკვნაა.

● საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელიც თბილისში გამართული ჩემპიონატის შემდეგ საბოლოოდ დაკომპლექტდება, თებერვალში ინდოეთში გაემგზავრება მსოფლიო პირველობაზე. საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი მაგიდის ჩოგბურთელები, როგორც ცნობილია, მაინც და მაინც ვერ გრწყინავენ. რა შედეგებს უნდა ველოდეთ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში?

— მოკლედ გეტყვით, ქალთა ნაკრები ალბათ ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე გავა. ჩვენს ვაჟებს რვა საუკეთესო გუნდს შორის თუ ვიხილავთ, მე ვთვლი, რომ ეს იქნება ნაკრების წარმატება.

ესაუბრა თ. თომაშვილი.

ნაკრების პირველი მატჩი

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები წლევანდელი სეზონის პირველ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავს დღეს რომის ოლიმპიურ სტადიონზე. აქ იგი შეხვდება იტალიის ცნობილ კლუბს „რომას“.

ჩვენი ნაკრების შემადგენლობა შარშანდელთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა. დღევანდელ მატჩში ტრავმის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებს ევროპის შარშანდელი საუკეთესო ფეხბურთელი ი. ბელანოვი, აგრეთვე, სპარტაკელი ფეხბურთელები ვ. ხიდიატულინი და ს. როდიონოვი, რომლებიც წინასასეზონო მზადებას თავიანთ კლუბში გადიოდნენ.

„რომასთან“ შეხვედრისთვის ვ. ლობანოვსკის ხელმძღვანელობით ემზადებოდნენ შემდეგი ფეხბურთელები: **მეკარეები**—რ. დასაევი („სპარტაკი“), ვიქ. ჩანოვი („დინამო“, კიევი); **მცველები** — ვ. ბესონოვი, ო. კუზნეცოვი, ს. ბალტაჩა და ა. დემიანენკო („დინამო“, კიევი), ა. ჩივაძე („დინამო“, თბილისი); **ნახევარმცველები** — ვ. რაცი და პ. იაკოვენკო („დინამო“, კიევი), ს. ალეინიკოვი და ს. გოცმანოვი („დინამო“, მინსკი), გ. ლიტოვჩენკო („დნეპრი“); **თავდამსხმელები** — ა. ზავაროვი, ვ. ევტუშენკო და ო. ბლოხინი („დინამო“, კიევი), ო. პროტასოვი („დნეპრი“).

ევროპის საკლუბო ტურნირები

ნილისყრის შედეგები

24 იანვარს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ კიოლნში შედგა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალური წყვილების წილისყრა. **ჩემპიონთა თასზე კიევის „დინამოს“ მეტოქეა თურქეთის „ბეშიქთაში“, ხოლო თასების მფლობელთა თასზე მოსკოვის „ტორპედო“ შეხვდება საფრანგეთის „ბორდოს“.**

წილისყრის საერთო შედეგები ასეთია:

ჩემპიონთა თასი

„დინამო“ (კიევი) — „ბეშიქთაში“ (თურქეთი)

„ბაიერნი“ (გფრ) — „ანდერლეხტი“ (ბელგია)

„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „რეალ-მადრიდი“ (ესპანეთი)

„პორტო“ (პორტუგალია) — „ბრონდბიუ“ (დანია)

თასების მფლობელთა თასი

„ბორდო“ (საფრანგეთი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)

„სარაგოსა“ (ესპანეთი) — „ვიტოშა“ (ბულგარეთი)

„მალმე“ (შვეცია) — „აიაქსი“ (ჰოლანდია)

„ლოკომოტივი“ (გდრ) — „სიონი“ (შვეიცარია)

უეფა-ს თასი

„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი)

„ბორუსია“ (გფრ) — „გიმარაეში“ (პორტუგალია)

„ტორინო“ (იტალია) — „სვაროვსკი ტიროლი“ (ავსტრია)

„ბეტებორგი“ (შვეცია) — „ინტერი“ (იტალია)

პირველი მატჩები 4 მარტს ჩატარდება წილისყრაში პირველად დასაზელებული გუნდების მინდვრებზე, ხოლო საპასუხო შეხვედრები გაიმართება 18 მარტს.

ევროპის ჩემპიონატი

II ჯგუფი

იტალიის ქალაქ ბერგამოში შედგა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და მალტის ეროვნული გუნდები.

თამაში მოიგეს იტალიელებმა — 5:0, ხუთივე ბურთი პირველ ტაიმში გავიდა.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იტალია	3	3	0	0	10-2	6
შვეცია	3	2	1	0	8-1	5
პორტუგალია	2	0	2	0	2-2	2
შვეიცარია	3	0	1	2	3-6	1
მალტა	3	0	0	3	0-12	0

საქველმოქმედო მატჩი

განვლილ შაბათს ტოკიოში გაიმართა საქველმოქმედო მატჩი ფეხბურთში, რომლის შემოსავალი გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს. იაპონიის ეროვნული ნაკრები შეხვდა სამხრეთ ამერიკის 4 ქვეყნის ნაკრებს. სტუმართა რიგებში გამოდიოდნენ არგენტინელი მარადონა, ბრაზილიელი ჟოსიმარი და სხვები, გუნდის მწვრთნელი იყო კარლოს ბილარდო, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონთა ხელმძღვანელი. თამაში მოიგეს სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელებმა — 1:0, ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა ჟოსიმარმა.

თვით ბრაზილიაშიც კი

ბრაზილიაში საკმაოდ ბევრი მაყურებელი ჰყავდა ვეტერანთა შეჯიბრებას „პელეს თასზე“, მაგრამ შტატების პირველობებზე თითქმის არავინ დადის, რაც ეროვნული ფეხბურთის მესვეურებს საგონებელში აგდებს.

ამას წინათ ბრაზილიის შტატ პერნამბუკოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრედ ოლივეირამ გულშემატკივრებს სთხოვა მატჩებზე... ცოლებით მოვიდნენ და ერთ სიახლესაც შეპირდა: მატჩების ტაიმებს შორის ამიერიდან სტრიპტიზის სეანსებს გავმართავთო.

წყალბურთელთა საკავშირო პირველობა

I ლიგა ● პირველი ტური

კარგი დასაწყისი

როგორც იცით, თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის წყალბურთელებმა შარშანდელი სეზონის მიწურულს საკავშირო პირველობის I ლიგის საგზური მოიპოვეს. ამიტომ იყო, ჩვენი გუნდის სადებიუტო მატჩს პირველ ლიგაში ინტერესით რომ მოველოდით.

და აი, კაუნასში და მინსკში პირველი ტურის მატჩები გაიმართა. თბილისელები კაუნასში გამოდიოდნენ. მათ აქ მოუგეს ყაზანის „სინთეზს“ (7:6), ბაქოს უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ გუნდს (8:7), ტაშკენტის „მეხნატსა“ (12:11) და ვორონეჟელ წყალბურთელებს (12:5), დამარცხდნენ კაუნასის „ბანგასთან“ (6:13), მოსკოვის „მაიაკთან“ (6:12) და ბაქოს უმაღლესი სპორტული დაოსტატების გუნდთან (7:8). ჟდანოვის „აზოვთან“ კი ფრედ (9:9) დაამთავრეს შეხვედრა.

ამ ქვეჯგუფში „ბანგამ“ 13 ქულა მოაგროვა, „მაიაკმა“ — 11, თბილისელმა, ყაზანელმა და ჟდანოველმა წყალბურთელებმა — 7-7, ბაქოელებმა — 6, ტაშკენტელებმა — 4, ვორონეჟელებმა — 1.

ამ ქვეჯგუფში მოასპარეზეთაგან ყველაზე ძლიერი წყალბურთელები ჰყავთ კაუნასისა და მოსკოვის გუნდებს, რომლებიც დიდი ხანია რაც I ლიგაში გამოდიან.

თბილისელთა დებიუტმა სპეციალისტებზე კარგი თაბეჭდილება დატოვა. ჩვენი გუნდის ერთ-ერთმა წევრმა ირაკლი ლიპარტელიანმა საუკეთესო მცველისთვის დაწესებული პრიზი დაიმსახურა. გუნდის ღირსებას იცავდნენ: ღვალაძე, გიორგაძე, ფანჩულიძე, ლევან წულაძე, კალანდაძე, დემეტრაშვილი, ქათამაშვილი, კელაურიძე, ხარშილაძე, ახვლედიანი, გიორგი წულაძე და მაისურაძე.

მინსკის ქვეჯგუფში მასპინძელთა არმიელების გუნდი დაწინაურდა — 14 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან კიშინიოვის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური გუნდის წყალბურთელები (10), მოსკოვის „ტორპედო“ (8), მოსკოვის სკფ-ი, დუშანბეს გუნდი (7-7), ვოლგოგრადის „სპარტაკი“ (6), მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდი (2) და ერევნის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სპორტსკოლის კოლექტივი (0 ქულა).

თბილისელთა კოლექტივი 16 გუნდს შორის ჯერჯერობით VI-X ადგილებს იყოფს, რაც, ვფიქრობთ, დებიუტანტისთვის კარგი შედეგია.

მეორე ტურის მატჩები თებერვლის დასაწყისში ჟდანოვში გაიმართება.

ძიუდოს კიმონოში გამოწყობილი ქალები

„იზმაილოვოს“ სპორტის სასახლე ამ დღეებში მართლაც უცნაურად გამოიყურება. ლეიბიდან ლეიბზე საქმიანი და დაფიქრებული სახით „დააბიჯებენ“ ძიუდოისტთა კიმონოებში გამოწყობილი ქალები. ზოგი გერმანულად ლაპარაკობს, ზოგი ფრანგულად, პოლონურად, უნგრულად, ფინურად... ძიუდოისტ ქალთა საერთაშორისო ტურნირმა მოსკოველ სპორტისმოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ინტერესი ერთი-ორად იმანაც გააძლიერა, რომ მოსკოვში ფაქტიურად ყველა უძლიერესი ძიუდოისტი ქალი ჩამოვიდა.

როგორც გაირკვა, ძიუდო მათთვის არც ისე უცხო ხილი ყოფილა. „მშვენიერთა სქესის“ წარმომადგენლებმა კარგად აუღეს ალღო ამ წმინდა „მამაკაცურ“ სპორტს და ხშირად ლამაზად ჩატარებული ილეთისათვის მაყურებელთა სიმპათიებსა და ტაშს იმსახურებენ.

მძიმე წონის მოჭიდავეთა ფინალში ლენინგრადელი ელენე გუშჩინა და ამერიკელი ბარბარა ფესტი შეხვდნენ ერთმანეთს. ფესტი თავის მეტოქეზე 9 წლით უფროსი იყო, რაც მას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ახალგაზრდულმა სითამამემ და შემართებამ თავისი გაიტანა. გუშჩინამ დროზე ადრე დაამთავრა ბრძოლა და ტურნირის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

პირველი დღის ფინალებში კიდევ ორი საბჭოთა ძიუდოისტი მონაწილეობდა. ორივემ მეორე ადგილი დაიკავა. ვილნიუსელ ირინა ბარტოშევიჩს (72 კგ) ფინალში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა ფრანგმა ნატალია ლიუპინომ აჯობა, არხანგელსკელი ლიუდმილა ტრიში კი კრისტინ პენიკთან (აშშ) დამარცხდა.

საბჭოთა სპორტსმენთაგან მესამე ადგილები კუიბიშეველმა ოლგა მატვეევამ (66 კგ), ლენინგრადელმა ელენა ბესოვამ (72 კგ) ❍ მინსკელმა ირინა ემელიანოვამ (მძიმე) დაიკავეს.

სსრ კავშირის ზამთრის მეორე ჩემპიონატი ნიჩბოსნობაში

უძლიერესთა მონაწილეობით

22-25 იანვარს გალის წყალსაცავზე ჩატარდა საბჭოთა კავშირის ზამთრის ჩემპიონატი ბაიდარებით ასპარეზობაში. ეს პირველობა სიახლეა. იგი წელს მეორედ გაიმართა. მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ლიტვის, ლატვიის, მოლდავეთის, ესტონეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა გარდა, ჩემპიონატში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებათა, არმიელ სპორტსმენთა და „დინამოს“ ნაკრები გუნდები. 187 მონაწილეს შორის 38 ქალი იყო.

ვაჟთა ერთადგილიანი ბიადარებით 10 000 მეტრ დისტანციაზე პირველობა არავის დაუთმო უკრაინელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ წევრმა სტანისლავ ბორეიკომ.

ამავე დისტანციაზე კანოისტთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ივან კლემენტიევმა. მას ტოლი არ ჰყავდა 1000 მეტრზე რბოლაშიც.

1000 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარებით რბოლაში უძლიერესი იყო უკრაინის წარმომადგენელი იგორ ნეჩაევი.

ვოგონათა ასპარეზობაში თავი გამოიჩინა მოსკოველმა ირინა სოლომიკოვამ, რომელმაც ჯერ 5000, შემდეგ კი 750 მეტრ დისტანციაზე გაიმარჯვა.

მაია მშსხი,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.



ივან კლემენტიევი



იგორ ნეჩაევი

ფავორიტების „შავი დღე“

ტაუილად როდი ამბობენ ჩოგბურთის სპეციალისტები, რომ ავსტრალიის ბალახის კორტებზე თამაშს განსაკუთრებული ჩვევა და ცოდნა სჭირდებაო. ამ ქვეყნის ღია პირველობამ, რომელიც „დიდი მუზარადის“ სერიების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს, ბევრი სიურპრიზი შემოგვთავაზა.

დავიწყოთ იმით, რომ უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი ვაჟთა შორის ბორის ბეკერი მეოთხედფინალშიც ვერ მოხვდა. არც მსოფლიოს პირველ ჩოგანს ივან ლენდლს (ჩეხოსლოვაკია) გაუღიმა ბედმა. ნახევარფინალში იგი ავსტრალიელმა პეტ კეშმა დაამარცხა. მოულოდნელი იყო მარტინა ნავრატილოვას (აშშ) წარუმატებლობაც ფინალში, თუმცა მას არანაკლებად ცნობილმა და პოპულარულმა 24 წლის ჰანა მანდლიკოვამ აჯობა.

ერთი სიტყვით, ავსტრალიის ბალახის კორტებზე თამაშს, მით უმეტეს 30-გრადუსიან სიცხეში, თურმე მართლაც სჭირდება ცოდნა. ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა 21 წლის შვედმა ედბერგმა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში პეტ კეშს აჯობა — 6:3, 6:4, 3:6, 5:7, 6:3. აღსანიშნავია, რომ ედბერგმა ეს ტურნირი შარშანაც მოიგო.

ქალთა ასპარეზობაში ყველაფერი ორ პარტიაში გაირკვა. 1980 წლის ანალოგიურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ჰანნ მანდლიკოვამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნავრატილოვა დაამარცხა — 7:5, 7:6.

გიწვევთ კონკურსში მონაწილეობა

როგორც ცნობილია, ფეხბურთელთა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი საიუბილეოა. თბილისში 50-ე ჩემპიონატის პირველი მატჩი გაიმართება 10 მარტს, როცა ჩვენი „დინამო“ მოსკოვის „სპარტაკს“ უმასპინძლებს. სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექცია აცხადებს კონკურსს ამ მატჩის პროგრამის შესადგენად. კონკურსის მონაწილეებმა უნდა გათვალისწინონ საფეხბურთო პროგრამის ორიგინალობა, ტექსტობრივი და ფოტომასალის რაოდენობა, განლაგება და ა. შ. მოწონებული გარეკანით გამოვა წლის მანძილზე დაგეგმილი სხვა მატჩების პროგრამებიც. ნამუშევრებს განიხილავს საგანგებო ჟიური. გამარჯვებული პონორარის გარდა მიიღებს „დინამოს“ სტადიონის 1987 წლის მუდმივ საშვს და ფეხბურთის ბურთს დინამოელთა ავტოგრაფებით. ნამუშევრების წარმოდგენის ბოლო ვადაა 1987 წლის 5 თებერვალი. დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექციას. მისამართი: თბილისი, წერეთლის, 2. (ტელეფონები: 95-21-62, 95-03-76).



კალეიდოსკოპი

პირველი მედალი

მერს გადაეცა

ესპანეთი დასავლეთ ევროპაში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ოლიმპიური თამაშებისთვის არ უმასპინძლია. არადა კანდიდატთა შორის ბარსელონა სამჯერ (1924, 1936 და 1972 წწ) იყო დასახელებული. პირველად მას საფრანგეთის დედაქალაქმა აჯობა, მეორედ — ბერლინმა, მესამედ — მიუნჰენმა. ესპანელ გულშემატკივრებს ბედმა მხოლოდ მეოთხე ცდაზე გაუღიმა — ოლიმპიადა—92 ბარსელონაში გაიმართება.

კატალონიელებს მიაჩნიათ, რომ ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბარსელონის მერს პასკუალე მარაგალს, რომელმაც ჯერ ქვეყნის პოლიტიკური ძალები დარაზმა და მერე ოფიციალური მადრიდის მხარდაჭერასაც მიაღწია. ამ დღეებში კატალონელებმა თავის მერს ოლიმპიური ოქროს მედალი გადასცეს — სიმბოლური ჯილდო აქტიური თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

უმაუურებლო შეჯიბრებები

იტალიაში სამთო-სათხილამურო სპორტისადმი ინტერესი მკვეთრად დაეცა. სპეციალისტების აზრით ამის მიზეზია უჩვეულოდ გაჭიმული და გადატვირთული კალენდარი. და მართლაც, მსოფლიო თასის ბოლო ეტაპები, როგორც წესი, მაყურებლების გარეშე ტარდება. იანვარში გულშემატკივრები ასე თუ ისე კიდევ ესწრებიან შეჯიბრებებს, თებერვალსა და მარტში კი მათ უკვე ბეზრდებათ ამ ტურნირებისთვის თვალყურის დევნება. მით უფრო, რომ ზუსტად არავინ იცის ვინ დაწინაურდა, ვინ მიყვება ფეხდაფეხ ლიდერებს, ვისა აქვს გამარჯვების უკეთესი შანსი და როდის გამოვლინდება თასის მფლობელი. ზოგჯერ პირველ ადგილს იკავებს სპორტსმენი, რომელსაც არც ერთი ეტაპი არა აქვს მოგებული. ასეთი გაურკვევლობა მაყურებლებს, ცხადია, არ მოსწონთ და ასპარეზობაზე წასვლას შინ დარჩენასა და ტელევიზორებთან ჯდომას ამჯობინებენ.

მოთხილამურე — ავტომობილისტი

ზამთრის სპორტი შვეიცარიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა ამ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად მოთხილამურე გუნდე სვანი დაასახელეს.

მართალია, ამ საოცარმა მოთხილამურემ მსოფლიო თასის რამდენიმე ბოლო ეტაპი წააგო, მაგრამ საერთო ჯამში იგი დამაჯერებლად ლიდერობს შეჯიბრებას და სპეციალისტთა აზრით, ალბათ, გაიმარჯვებს კიდეც. სტატისტიკოსებმა დაიანგარიშეს, რომ 380 საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომლებშიც მონაწილეობა მიუღია, სვანმა ორასზე მეტი პირველი ადგილი დაიკავა.

თხილამურები ამ სპორტსმენისთვის ერთადერთი გასართობი როდია. გუნდე სვანს უყვარს ავტოშეჯიბრება და ხშირად რალებშიც მონაწილეობს.

შვეიცარია მოლოდინშია

შვეიცარიის საკურორტო ქალაქ კრან-მონტანაში გუშინ დაიწყო მსოფლიო პირველობა სამთოსათხილამურო სპორტში. როგორც ადგილობრივი მიმომხილველები აღნიშნავენ, ეს იქნება ყველაზე დიდი შეჯიბრება იმ ასპარეზობათა შორის, რაც შვეიცარიაში ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჩატარებულა.

ჩემპიონატში 34 ქვეყნის 250-მდე მოთხილამურის გამოსვლას მოელიან. სულ შეჯიბრებებს დაახლოებით 120 ათასი მაყურებელი დაესწრება. მსოფლიოს უძლიერესი სამთომოთხილამურეთა ასპარეზობას მილიონობით ტელემაყურებელი იხილავს.

ხაჰირობა მოდერნიზაცია

ევროპის ფეხბურთელთა 198[illegible] წლის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ივნისში გფრ-ის ქალაქებში გაიმართება. ჩემპიონატის მატჩები ჩასატარებლად ფეხბურთის ევროპულმა ფედერაციამ რვა სტადიონი შეარჩია:

მაგრამ სტადიონები სპეციალისტთა აზრით მოდერნიზაციას საჭიროებენ, რისთვისაც უკვე გამოიყო საჭირო თანხა. მოდერნიზაციის პირველ რიგში უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებას გულისხმობს, შემდეგ ჟურნალისტებისთვის და ფოტოკორესპონდენტებისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნას.

ამას წინათ ევროპის ფეხბურთის ფედერაციის (უეფა) სპეციალურმა კომისიამ სტადიონების ტექნიკურ მდგომარეობა შეამოწმა. გადაწყდა სტადიონებზე დამატებითი გასასვლელები მოეწყოს, რაც ხელს შეუწყობს ტრიბუნების შეუფერხებელ დაცლას. მაინის ფრანკფურტის სტადიონზე დამონტაჟდება ვიდეო ეკრანები, რომელთაც მუდმივი კონტროლის ქვეშ ეყოლებათ მაყურებელი. გელზენკირჩენში მეტოქე გუნდების გულშემატკივრებს სხვადასხვა ტრიბუნებზე გაანაწილებენ. ამ ტრიბუნებს ერთმანეთისგან გაჰყოფს 205 სანტიმეტრ სიმაღლის რკინის ღობე.

კომისიის აზრით, მოდერნიზება არ დასჭირდება მიუნჰენის და შტუტგარტის სტადიონებს. ეს ბაზებ[illegible] კომისიის წევრებმა მოიწონეს.

კალეიდოსკოპი

ციხეფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 2 იანვარი. დილის დაჭურვა — 8.0[illegible] (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); [illegible]რიტმული ტანვარჯიში — 20.30 (2) [illegible] კალათბურთი. ევროპის ქვეყნებ[illegible] თასების მფლობელთა თასი: „ხუვენტუდი“ (ესპანეთი) — ცსკა (გადა[illegible] ცემა ესპანეთიდან) — 23.35 (1).

„სპორტლოტო“

გუშინწინ მოსკოვში შეედ[illegible] „სპორტლოტოს“ მორიგი, მერვე[illegible] ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-იდან: (კლასიკური ჭიდაობა), 12 (ტანვარ[illegible]ჯიში), 20 (ასფროსნობა), 26 ([illegible] ნამედროვე ხუთჭიდი), 33 ([illegible] ბურთი), 36 (მხატვრული [illegible]ჯიში).

„სპორტლოტო 5 36“-იდან: (კლასიკური ჭიდაობა), 9 (საგზატ[illegible] კეცილო ველორბოლა), 20 (აფრო[illegible]ნობა), 27 (მშვილდოსნობა), [illegible] (შაიბიანი ჰოკეი).

ფეხბურთელი — ეკიპაჟელი

მლადა-ბოლესლავი (ჩეხოსლოვაკია). მსოფლიოს ჩემპიონი ველოკროსში ზედიზედ მეორედ გახდა 24 წლის მაიკლ კლიუგე (გფრ). 27,9-კილომეტრიანი ურთულესი დისტანცია მან 1:03,50-ში დაფარა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ჩეხოსლოვაკიელებმა ფრანტიშეკ კლოუჩეკმა და რომან კროიციგერმა მოიპოვეს. გუნდური გამარჯვება ჩეხოსლოვაკიელებს დარჩათ.

როსტოკი. „ბალტიკის თასი“ ხელბურთში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა მოიპოვა. ფინალში საბჭოთა სპორტსმენებმა გდრ-ის გუნდი დაამარცხეს — 27:17.

პარიზი. რაპირისტ ვაჟთა მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქში ჩატარდა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა მინსკელმა ალექსანდრე რომანკოვმა მოიგო. ფინალში მან ფრანგი ფილიპ ომნესი დაამარცხა — 11:9.

ინსბრუკი. აქ გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ციგაობაში. ვაჟთა შორის პირველი ადგილი და ოქროს მედალი ავსტრიელმა მარკუს პროკმა მოიპოვა —2.32,990. ქალებში ყველას გდრ-ის წარმომადგენელმა კერსტინ შმიდტმა აჯობა — 2.05,876.

ტრონჰეიმი (ნორვეგია). დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ციგურაობაში ვაჟთა შორის. მრავალჭიდში ადგილები ასე განაწილდა: 1. ნ. გულიაევი (სსრ კავშირი), 2. მ. ხადშიფი (ავსტრია), 3. ხ. ფერგეერი (ჰოლანდია). გულიაევმა მცირე ოქროს მედლები მოიპოვა, აგრეთვე, 500 და 1500 მ. რბენაში. 5 და 10 კილომეტრზე პირველი გ. კარლსტადი (შვეცია) იყო.

ჩერვინია (იტალია). ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები ორადგილიანი ბობსლეებით ასპარეზობაში გდრ-ის წარმომადგენლებმა ვოლფგანგ ჰოპემ და დიტმარ შაუერჰამერმა მოიგეს — 4.15,72. მეორე ადგილი რიგელმა იანის კიპურსმა და კრასნოდარელმა ვლადიმერ ალექსანდროვმა დაისაკუთრეს — 4.16,17.

პერტე (ავსტრალია). წყალბურთელთა შეჯიბრება „ამერიკის თასზე“ საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიგო. ფინალში მან აშშ-ის გუნდი დაამარცხა — 8:7. მესამე ადგილი ტურნირის მასპინძლებს ხვდათ. მათ იუგოსლავიის ნაკრები დაამარცხეს — 14.9.

ოსაკა (იაპონია). ქალთა საერთაშორისო მარათონში პირველი ადგილი ახალზელანდიელმა ლორინა მოლერმა დაიკავა. გამარჯვებულმა დისტანციის გავლას 2:30.40 მოანდომა.

ლენინგრადი. მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში ადგილობრივმა ბირთვის მკვრელმა ნატალია აბრომენკომ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მიღწევა დაამყარა — 21 მ. 16 სმ. ეს შედეგი ოდესელი ნუნუ აბაშიძის მიღწევას 10 სანტიმეტრით სჯობს.

ტიხოვეცი (ლვოვის ოლქი). საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი 90 მ. ტრამპლინიდან ხტომაში ალმა-ათელმა ვადიმ ზახაროვმა მოიგო (110,5 და 109,5 მეტრი). 70-მეტრიან ტრამპლინზე უძლიერესი გორკელი სერგეი ბრიზგალოვი იყო (81,5 და 85,5 მეტრი).

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06740

რედაქტორ
თ. გაჩეჩილაძ